

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის

2018 წლის 15 ივნისის N49 ბრძანებით

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯ „განთიადში“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1.შესავალი

1.ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „განთიადის“ (შემდგომში - „კოლეჯი“) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი(შემდგომში -წესი) სავალდებულოა შესასრულებლად კოლეჯში დასაქმებულ პირთათვის და პროფესიულ სტუდენტთათვის.

მუხლი 2.ზოგადი დებულება

1.ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „განთიადის“ (შემდგომში-კოლეჯი) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა მიერ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 3.კოლეჯის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.

1.წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება 4 დარაჯი. შენობის მეორე სართულზე წესრიგის უზრუნველსაყოფად შედგენილია მასწავლებლების მორიგეობის ცხრილი.

2.წესრიგის დაცვისა და დარღვევათა პრევენციის მიზნით კოლეჯის შენობაში დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემები.(შენობის მეორე სართულზე განთავსებულია 3 ერთეული კამერა და პირველ სართულზე 1 ერთეული კამერა) ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ჩანაწერები ინახება დარაჯის ოთახში და მათი მესამე პირებზე გადაცემა დაუშვებელია.

3.აკრძალულია დაწესებულების შენობაში ცეცხლსასროლი, ადვილად აალებადი ან ცივი იარაღით შესვლა.

4.აკრძალულია კოლეჯის შენობაში თამბაქოს მოწევა. თამბაქოს მოწევა შესაძლებელია შენობის გარეთ.

5.აკრძალულია კოლეჯის შენობაში ან ეზოში ალკოჰოლის მიღება ან გადაადგილება ალკოჰოლის შემცველი ნივთიერებების გახსნილი კონტეინერით (ქილა,ბოთლი და სხვა). პირი რომელიც იმყოფება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ვალდებულია დატოვოს შენობა.

6.აკრძალულია კოლეჯის ტერიტორიაზე ხმაური და მუშობისათვის ან/და მეცადინეობისათვის სხვაგვარი ხელის შეშლა.

მუხლი 4. დარაჯი

1.საშტატო განრიგის შესაბამისად, კოლეჯის სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს კოლეჯში ტერიტორიის წესრიგის დაცვას.

2. კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვის მიზნით, მათი დაზიანების და /ან განადგურების თავიდან ასაცილებლად, მატერიალური პასუხისმგებლობის მქონე პირი და დარაჯი ახორციელებენ ქონების დაცვას და უზრუნველყოფენ შესაძლო ზომების გამოყენებას.

3. კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა და ეზო) წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი.

4. კოლეჯის დარაჯი ვალდებულია წესრიგის დარღვევის, ავარიულ ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას უზრუნველყოს დაწესებულების დირექტორისათვის ან/და დირექციის სხვა წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიული ინფორმაცია გაუკეთოს/მიაწოდოს შესაბამის სამსახურს 112.

დასკვნითი დებულება

წინამდებარე წესში ცვლილილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.